საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-74
2021 წლის 13 აპრილი

ქ. თბილისი

„საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საკონსულო დაწესებულების გახსნის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის №158 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 15/07/2013, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.22.030.016083) დამტკიცებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულების გახსნის წესსა და ტიპობრივ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფუნქცია-მოვალეობების განაწილების შესახებ ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციებისა და სამუშაო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას;’’;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს საკონსულო დაწესებულების თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;“;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) გამოსცემს ბრძანებებს მისი და დაწესებულების საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომელთა მივლინების თაობაზე საკონსულო ოლქის ტერიტორიაზე.“.

დ) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „$ი^1$–$ი^3$“ ქვეპუნქტები შემდეგი შინაარსით:

„$ი^1$) ამტკიცებს საკონსულო დაწესებულების შინაგანაწესს და ზედამხედველობს შინაგანაწესის სათანადოდ შესრულებას;

$ი^2$) გეგმავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, უსახავს უშუალოდ დაქვემდებარებულ თანამშრომლებს ინდივიდუალურ მიზნებს და მონიტორინგს უწევს მათ მისაღწევად საჭირო ქმედებებს, ახორციელებს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და მოტივაციაზე;

$ი^3$) უზრუნველყოფს თანამშრომელებს შორის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებას, რასაც ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და უგზავნის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს;“;

ე) „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სამინისტროსთან და საკონსულო დეპარტამენტთან შეთანხმებით აფორმებს ხელშეკრულებას საკონსულო დაწესებულების მომსახურე პერსონალთან და წყვეტს მათთან სახელშეკრულებო

ურთიერთობას;

ნ) გამოსცემს ბრძანებებს საკონსულო დაწესებულების მომსახურე პერსონალის შვებულების, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და მათი საკონსულო ოლქის ტერიტორიაზე მივლინების თაობაზე;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი**